საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ.ბათუმი 2013 წლის 01 ნოემბერი

გადაწყვეტილება № 05-01/05

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 17-ე მუხლის „ლ" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 01 ნოემბრის № 04-01/64 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ხელოვნების უნივერსიტეტში ძირითად შტატზე მომუშავე პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:
   - პროფესორი - 10. 00 ლარი;
   - ასოცირებული პროფესორი - 9. 00 ლარი;
   - ასისტენტ-პროფესორი - 8. 00 ლარი.
   - პროფესორ-კონსულტანტი - 10. 00 ლარი.

2. უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:
   - ემერიტუსი - 10. 00 ლარი.
   - მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე და დოქტორანტი - 9. 00 ლარი;
   - მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო და აკადემიური ხარისხის გარეშე - 8. 00 ლარი;
   - მოწვეული მასწავლებელი - 7. 00 ლარი.
   - კონცერტმაისტერი - 8. 00 ლარი;
   - ილუსტრატორი - 7. 00 ლარი.

3. უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ერთი მასტერკლასის ან ერთი საჯარო ლექციის ანაზღაურება განისაზღვროს 250 ლარის ოდენობით.

4. ქ. თბილისიდან მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგნაირად:

პროფესორი/საშემსრულებლო დარგის მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 30 ლარი;

ასოცირებული პროფესორი და მეცნიერ-მუშაკი - ერთი საათი - 25 ლარი;

ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 20 ლარი.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,2009-2010 სასწავლო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის მოვლეობის შემსრულებლის 2009 წლის 21 სექტემბრის № 20 ბრძანება, ,,2009-2010 სასწავლო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2009 წლის 21 სექტემბრის № 20 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 24 სექტემბრის № 227 ბრძანება, ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №5 გადაწყვეტილება“ და ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ნოემბრის № 2 გადაწყვეტილება.

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**